

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

**“საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თობაზე“ კანონპროექტზე**

**ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:**

**ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი**

გარე აგრესიის შედეგად კონფლიქტების გაზრდის გამო არსებულ კანონში ახალი რეაქციის ასხვა.

**ა.ბ) კანონპროექტის მიზანი**

კანონპროექტის მიღების მიზანია ამავე კანონის მოსარგებლე პირთა წრის და მათ შორის, სოციალური გარანტიებით სარგებლობისათვის, კონფლიქტურ ზონებში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გარდაცვლილთა ოჯახის წევრთა განსაზღვრა.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი**

პროექტით გათვალისწინებულია კანონის გაგრძელება კონფლიქტურ ზონაში ცნობილ მოვლენებში (1998 წ., 2004 წ., 2008 წ.) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპულ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა ოჯახის წევრებზე და გაფართოებულია მათი წრე. ამასთანავე, კანონი გაგრძელდება დაღუპულების შეილებზე 22 წლის ასაკის მიღწევამდე (მოქმედი კანონი ვრცელდება არასრულწლოვან შეილებზე 18 წლის ასაკის მიღწევამდე), მშობლებზე რომელთაც დაეღუპათ ორი ან მეტი შვილი.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;**

კანონპროექტის მიღება მოითხოვს დამატებით საბიუჯეტო ასიგნებებს.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე**

კანონპროექტების მიღება გავლენას არ იქონიებს საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე**

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს საბიუჯეტო ხარჯების გაზრდას.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება**

კანონის პროექტი გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას. წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებები მოითხოვს დამატებით საბიუჯეტო ასიგნებებს ოჯახის წევრთა სახელმწიფო გასაცემლით უზრუნველყოფისათვის სულ 1037428 ლარს წელიწადში, მათ შორის: გარდაცვლილთა ოჯახის წევრთა რაოდენობის დამატებით, საპენსიო ნაწილში 201960 ლარს წელიწადში (სახელმწიფო სუბსიდების სახით 161568 ლარი წელიწადში), არასრულწლოვანი შვილების 18-დან 22 წლამდე, ასაკის გაზრდასთან დაკავშირებით 643500 ლარს წელიწადში, ოჯახიდან ორი ან მეტი შვილის დაღუპვისათვის 30360 ლარს წელიწადში.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება**

კანონპროექტების მიღებით გაუმჯობესდება სოციალური დაცვა განსაზღვრულ პირთათვის. კერძოდ, დაღუპულის მეუღლე და მშობლები, შვილები 18 დან 22 წლამდე, მშობლები რომელთაც დაღუპული ყავთ ორი ან მეტი შვილი (თითოეულზე) - მიიღებენ სახელმწიფო პენსიას თვეში 55 ლარის ოდენობით; გარდა ამისა დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახები მოიპოვებენ 44 ლარიანი სოციალური სუბსიდიის მიღების უფლებას.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებელის ან სხვა სახის გადასახდელი ოდენობის განსაზღვრას და შესაბამისად არ აღგენს მის განსაზღვრის წესს.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს.

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხივ ხელშეკრულებებთან**

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში**  
კანონპროექტი არ ყოფილა წარდგენილი ექსპერტებისათვის.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ**

კანონპროექტი შესათანხმებლად წარდგენილი იქნება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, საქართველოს შინაგან საქმეთა, საქართველოს თავდაცვის, საქართველოს ფინანსთა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროებში.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი**

საქართველოს პარლამენტის წევრები გიორგი წერეთელი და ოთარ თოიძე.

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი**

საქართველოს პარლამენტის წევრები გიორგი წერეთელი და ოთარ თოიძე.